



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გლაუკონიტი

გლაუკონიტი, სილიკატების კლასის მინერალი ჰიდროქარსების ჯგუფისა. ქიმ. შედგენილობა: $(K, Na, Ca) (Fe^{3+}, Al, Fe^{2+}, Mg)_2 [Al_xSi_{4-x} O_{10}] (OH) \cdot nH_2O$, სადაც $x \leq 1$, $n=1-2$. გვხვდება წვრილკრისტალური, ზოგჯერ თირკმლისებური აგრეგატების სახით. სისაღე მინერალოგიური სკალით 2-3; სიმკვრივე 2200-2800 კგ /მ³. სხვადასხვა ელფერის მწვანეა. ძირითადად წარმოიქმნება ეგზოგენური პროცესების შედეგად, გვხვდება მადნეულ საბადოთა ჰიდროთერმული შეცვლის ზონებშიც. იყენებენ დანალექი ქანების K-AR მეთოდით დათარიღებისათვის, მრეწველობაში - მწვანე საღებავებისა და დეკორ. ცემენტის დასამზადებლად, მინის წარმოებაში, სასუქად, ხისტი წყლის დასარბილებლად.

საქართველოში გვხვდება საქართვე. ბელტის ცარცულ ნალექებში (ე. წ. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები).

ვ. ჯავრიშვილი
